ხელშეკრულება № 8

ქ. თბილისი **2 თებერვალი 2023წ.**

შპს "იუ-ჯი-თი" (შემდგომში „კომპანია"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ერმილე სულაძის სახით, ერთი მხრივ და **სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის #1 საჯარო სკოლა** (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ომარ ფალავანდიშვილის სახით მეორე მხრივ, შემდგომში ერთად წოდებული „მხარეები" და ცალკ–ცალკე – „მხარე", ვდებთ ხელშეკრულებას (შემდგომში: „ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპანიის მიერ დამკვეთისათვის დანართი #1–ით გათვალისწინებული აპარატურის (შემდგომში „საქონელი") მიწოდება და საკუთრებაში გადაცემა;

1.2. საქონლის აღწერა მოცემულია დანართი #1–ში, რომელიც შედგება 1 ფურცლისგან. დანართი #1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

1.3. დანართში #1–ში მითითებულია: საქონლის დასახელება, კომპლექტაცია, მოდელი, რაოდენობა, ღირებულება, მხარეთა რეკვიზიტები და სხვა აუცილებელი მონაცემები;

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. კომპანია ვალდებულია, განახორციელოს დანართში #1 მითითებული საქონლის მიწოდება და საკუთრებაში გადაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის თანახმად;

2.2. კომპანია ვალდებულია, მიაწოდოს დამკვეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

2.3. დამკვეთი ვალდებულია, მიიღოს და აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის თანახმად;

2.4. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა ის პირობა და გარემოება, რაც აუცილებელია კომპანიის მიერ საქონლის მიწოდებისთვის;

3. სახელშეკრულებო ღირებულება, ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება") შეადგენს **1895 (*ათასრვაასოთხმოცდათხუთმეტი*) ლარს დღგ-ს ჩათვლით;**

3.2. სახელშეკრულებო ღირებულების გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით;

3.3. სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის გადახდა განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

3.4. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში;

4. საქონლის მიწოდების ვადა და პირობები

4.1. ხელშეკრულების დანართი #1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა;

4.2. საქონლის მიწოდება ხორციელდება შემდეგ მისამართზე:ჭავჭავაძის გამზ. 17ა;

4.3. საქონლის მიწოდებიდან 3 (სამი) დღის ვადაში მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, დამკვეთი უფლებამოსილია არ გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი, რა შემთხვევაშიც დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს კომპანიას შეტყობინება აღნიშნული შეუსაბამობის შესახებ. საქონლის გადაცემიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე საქონლის უსაფრთხოდ შენახვაზე პასუხისმგებელია

დამკვეთი. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი საქონლის გადაცემიდან/მიწოდებიდან 3 (სამი) სამი დღის განმავლობაში, არ გააფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს ან/და არ წარმოადგენს დასაბუთებულ უარს (შეტყობინებას შეუსაბამოსის შესახებ) საქონლის მიღებაზე, საქონელი ჩაითვლება მიღებულად და დაექვემდებარება სავალდებულო ანაზღაურებას. საკუთრების უფლება გადადის კომპანიიდან დამკვეთზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან.

4.4. დამკვეთის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია:თინათინ მოდებაძე

4.5. მიღება-ჩაბარების აქტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს დამკვეთის მიერ შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე საგდასახადო დოკუმენტის დადასტურებას;

5. საგარანტიო პირობები

5.1. საქონელზე ვრცელდება მწარმოებლის საგარანიტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება 1 (ერთი) წლის განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის მიერ დაცული იქნა საქონლის ექსპლუატაციის წესები;

5.2. დაუშვებელია საქონლის გახსნა, ნებისმიერი ტიპის სამუშაოების ჩატარების მიზნით, კომპანიის წარმომადგენლის ან სპეციალური შეთანხმების გარეშე;

5.3. საგარანტიო მომსახურება არ შესრულდება თუ საქონელს აქვს მექანიკური დაზიანება, რომელიც წარმოიქმნა მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ, თუ შეცვლილია აპარატურის სერიული ნომერი, ან არ იკითხება მკაფიოდ, ან საერთოდ განადგურებულია;

5.4. კომპანია პასუხს არ აგებს მიწოდებული საქონლის არათავსებადობაზე დამკვეთის საკუთრებაში უკვე არსებულ კომპიუტერულ ტექნიკასა და სისტემებთან (გარდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანიასთან უკვე შეთანხმებული ტექნიკისა და სისტემებისა);

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის მხარე უფლებამოსილია დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%–ის ოდენობით;

6.2. პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხარის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, თუ მხარეები სხვა პირობაზე არ შეთანხმდებიან. პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევ მხარეს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.3. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი უარს იტყვის საქონლის შესყიდვაზე (აღნიშნული უარი არ არის გამოწვეული კომპანიის მიზეზით) მას დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 25%–ის ოდენობით და საქონელი დარჩება კომპანიას. ავანსის გადახდის შემთხვევაში დამკვეთს უკან დაუბრუნდება გადახდილი ავანსი აღნიშნული პირგასამტეხლოს გამოკლებით. საქონლის შესყიდვაზე უარის თქმას უთანაბრდება დამკვეთის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილება 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით;

6.4. თუ მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია მეორე მხარის ბრალეული ქმედებით, ამ შემთხვევაში დამრღვევ მხარეს არ დაეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო/პასუხისმგებლობა;

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი, რომლის წინასწარ განჭვრეტა, აცილება ან მასზე ზემოქმედება შეუძლებელი იყო შესაბამისი მხარის

ძალისხმევით და თუკი ასეთი ფორს-მაჟორული გარემოება შეუძლებელს ხდის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულებას;

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კომპანიასა და/ან დამკვეთის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა;

7.3. თუ ფორს-მაჟორული გარემოება უშუალოდ იმოქმედებს ხელშკერულებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების ვადაზე, აღნიშნული ვადა მხარეთა დამატებითი შეთანხმებით უნდა გაგრძელდეს ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების დროის მიხედვით. ამასთან, თუკი ფორს-მაჟორული გარემოებები გაგრძელდა 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

7.4. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების, მათი გამომწვევი მიზეზის და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან;

8. ხელშეკრულების მოქმდების ვადა და პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათა სრულად შესრულებამდე;

8.2. ორივე მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს ხელშეკრულება ურთიერშეთანხმებით ან ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების არსებობისას;

9. დავათა გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები ეცდებიან მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება და დავა;

9.2. ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს.“ საარბიტრაჟო განხილვის ადგილია ქ. თბილისი (DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348; იურიდიული მისამართი ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი,2 სართული, ოფისი 11. ვებ.გვერდი: WWW.DRC.GE);

9.3. მხარეებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს სცადონ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშვირებით წარმოშობილი დავის მედიაციის მეთოდით გადაწყვეტა DRC-ის რეგლამენტის შესაბამისად;

10. სხვა პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით, წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

10.2. ხელშეკრულების რომელიმე კონკრეტული მუხლის/პუნქტის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების ბათილობას;

10.3. მხარეებს არ აქვთ უფლება, წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლება-მოვალეობები გადასცენ მესამე პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, მხარეთა მიერ ხელმოწერილია ელექტრონულად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის მეშვეობით.

11. მხარეთა რეკვიზიტები

კომპანია:
შპს "იუ-ჯი-თი"
ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა
0179, თბილისი, საქართველო
ს/ნ: 204892964
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

გენერალური დირექტორი

_____
/ე. სულაძე/

UGT LLC
Digitally signed by UGT LLC
Date: 2023.02.03 11:11:10 +04'00'

დამკვეთი:
სსიპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის N1 საჯარო სკოლა

მის:ჭიათურა სოფელი ითხვისი
ელ.ფოსტა: itkhvisi1@ mes.gov.ge
ტელ: 599 34 02 09
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ლიბერთი ბანკი
ა/აGE98LB0121197000578000
ს/კ 215606734
ბანკის კოდი:LBRTGE22

დირექტორის მ/შ გურამი ნადირაძე

ხელშეკრულება №8 2 თებერვალი, 2023 წ.

დანართი #1

№	საქონლის/მომსახურების დასახელება	რ–ბა	ერთ. ფასი ლარი	მთლიანი ფასი ლარი
1	დესკტოპის მოდელი: Acer Veriton X2665G პროცესორი: Intel® Pentium® Gold G5420 Processor 4M Cache, 3.80 GHz ოპერატიული მეხსიერება: 4 GB DDR4 მყარი მეხსიერება: 256GB M.2 2280 PCIe NVMe SSD ვიდეო კარტა: ინტეგრირებული პორტები: 4x USB 2.0; 4x USB 3.0; 2x PS2; 1x VGA; 1x DisplayPort; 1x HDMI; 1x COM; 3x audio; 1x RJ-45 გარანტია: 1 წელი კლავიატურა და მაუსი: შეფუთვაშია OS: Win 10 Pro ENG 64 Bit მონიტორის მოდელი: Acer V226HQLbid Monitor ეკრანის ზომა: 21.5" რეზოლუცია: FHD დახრის კუთხე: –5, +20 გრადუსი პორტები: 1 x VGA, 1 x DVI, 1 x HDMI გარანტია: 1 წელი	1	1895	1895
			სულ ჯამი დღგ–ს ჩათვლით:	1895,00 ლარი

კომპანია:
შპს "იუ-ჯი-თი"
ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა
0179, თბილისი, საქართველო
ს/ნ: 204892964
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

გენერალური დირექტორი

_____

/ე. სულაძე/

ხელწერილი N8

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

02.02.2023 წ.

ქ.ჭიათურა. სოფელი ითხვისი

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ მომსახურეობის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების''შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის''მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად „შპს იუ-ჯი-თი'' არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის N1 საჯარო

სკოლის დირექტორის მ/შ: /გურამი ნადირაძე/

მიღება–ჩაბარების
აქტიUGT090223-2

09.02.2023

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის #1 საჯარო სკოლა (შემდგომში "დამკვეთი") ერთის მხრივ და შპს "იუ–ჯი–თი" (შემდგომში "კომპანია") მეორეს მხრივ დებენ აქტს მასზედ, რომ დამკვეთს მიეწოდა შემდეგი სახის საქონელი:

#	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი ლარი	ღირებულება ლარი
1	დესკტოპის მოდელი: Acer Veriton X2665G პროცესორი: Intel® Pentium® Gold G5420 Processor 4M Cache, 3.80 GHz ოპერატიული მეხსიერება: 4 GB DDR4 მყარი მეხსიერება: 256GB M.2 2280 PCIe NVMe SSD ვიდეო კარტა: ინტეგრირებული პორტები: 4x USB 2.0; 4x USB 3.0; 2x PS2; 1x VGA; 1x DisplayPort; 1x HDMI; 1x COM; 3x audio; 1x RJ-45 გარანტია: 1 წელი კლავიატურა და მაუსი: შეფუთვაშია OS: Win 10 Pro ENG 64 Bit მონიტორის მოდელი: Acer V226HQLbid Monitor ეკრანის ზომა: 21.5" რეზოლუცია: FHD დახრის კუთხე: –5, +20 გრადუსი პორტები: 1 x VGA, 1 x DVI, 1 x HDMI გარანტია: 1 წელი	ცალი	1	1895.00	1895.00
				სულ:	**1895.00**

საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 1895 ლარს დღგს ჩათვლით

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ, რაზეც ხელს ვაწერთ.

მხარეთა რეკვიზიტები:

კომპანია:	დამკვეთი:
შპს იუ ჯი თი	სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის #1 საჯარო სკოლა
ი ჭავჭავაძის გამზ. #17ა ს/კ: 204 892 964 ტელ: 22 05 05/ფაქსი: 22 02 06 პასუხისმგებელი პირი გენერალური დირექტორი გურამ ხოჯანაშვილი	ჭიათურა, სოფ. ითხვისი ს/კ: 215606734 პასუხისმგებელი პირი:
_____	_____